ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 34

20.09.2019 *ქ. თბილისი, თემქა, XI მ/რ, II კვარტალი*

12:00 საათი *გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი*

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა, გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურ სპორტულ ცენტრში.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ხელმძღვანელი გივი ჩხარტიშვილი, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა -**გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ს სასწავლო პროცესის გაცნობა და სამომავლო გეგმების მოსმენა *(20.09.2019)* (**მომხსენებელი - გივი ჩხარტიშვილი** ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს ხელმძღვანელი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი"-ს სასწავლო პროცესის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია კომისიას ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს ხელმძღვანელმა გააცნო.

გივი ჩხარტიშვილი - ა(ა)იპ ,,გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი"-ს სტრუქტურული ერთეულის ,,ნაძალადევის სპორტული კომპლექსი", რომელიც უკვე ერთი

წელია ფუნქციონირებს რამდენიმე სპორტულ სექციას აერთიანებს. ცენტრში ფუნქციონირებს კრივის, აღმოსავლური ორთაბრძოლების, წყალბურთის, ცურვისა და ჭიდაობის წრეები, ასევე ფიტნეს ტრენაჟორების დარბაზი, ორი საცურაო აუზი დიდებისთვის და ბავშვებისთვის. ცენტრის შენობაში ასევე მოწყობილია გასარუჯი ვერანდა, მოსასვენებელი ოთახი მშობლებისთვის, რომლებსაც შვილები სპორტულ წრეებზე მოჰყავთ, ადმინისტრაციის ოთახები და სპორტული ინვენტარის მაღაზია.

სპორტული ცენტრის საქმიანობა ორიენტირებულია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, აქტიური დასვენების პოპულარიზაცია-განვითარებასა და მოსახლეობის ფართო ფენებში დანერგვაზე, მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ნაძალადევის სპორტულ კომპლექსში შესაძლოა დაიგეგმოს ფინური საუნის მოწყობა, ასევე სპორტული კომპლექსის აღჭურვა სავარჯიშო-სპორტული მოწყობილობებითა და ინვენტარით. იგეგმება ასევე სხვადასხვა სახის ტექნიკური სამუშაოები და მომუშავე პერსონალის გადამზადება. წლის მანძილზე ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული ღონისძიება და გასვლითი ასპარეზობები, დაგეგმილია სპორტული კომპლექსის მომხმარებლებს შორის წამახალისებელი სპორტული ღონისძიებები და სხვა სახის აქტივობები. ცენტრს აქვს პოტენციალი 1000 ბენეფიციარის სერვისი დააკმაყოფილოს, ამჟამად კი, ყველა სპორტული სექციით 300-ზე მეტი ბენეფიციარია დაკავებული და ეს რიცხვი მზარდია.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტული კომპლექსის გახსნიდან დღემდე, აღნიშნულ უბანში ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის ხელშეწყობისთვის ბევრი რამ გაკეთდა. მოსახლეობისთვის არაერთი სპორტული სერვისი ხელმისაწვდომი გახდა როგორც ტერიტორიულად, ასევე ფინანსური კუთხითაც. კომპლექსი მუნიციპალურია და ტარიფები საკმაოდ შეღავათიანია, ჩვეულებრივი მომხმარებლებისთვის, ხოლო უფასოა გარკვეული კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარებისთვის. დედაქალაქის მერიის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს სპორტის ხელშეწყობა წარმოადგენს და აღნიშნული ცენტრიც ამის ნათელი მაგალითია.

დავით რურუა - გამოვიდა ინიციატივით, აღნიშნულ ცენტრში ჩატარდეს სკოლებს შორის ტურნირი ცურვაში, რასაც ა(ა)იპ-ის წარმომადგენლების და საკრებულოს წევრების დაინტერესება და დადებითი შეფასება მოჰყვა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ა(ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“-ს სტრუქტურული ერთეულის „ნაძალადევის სპორტული კომპლექსის“ ფუნქციონირების და ცენტრის სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია ცნობად მიიღო.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე